აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №10

ქ. აბაშა, 2024 წლის 29 აგვისტო.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გია კუცია.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მურთაზი ჯალაღონია, ქეთევან ლობჟანიძე, ბაჩუკი ქვილითაია, როინი კაჭარავა და შოთა ჭანტურაია.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: მერაბ მელია.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ.კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ.კუცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მ. ალაღონიამ და ქ.ლობჟანიძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-6; წინააღმდეგი-0) აბაშის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,

ეკონომიკური და ქონების მართვის

კომისიის თავმჯდომარე: გ.კუცია